საქართველო
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

№ 294/26

„20" 08 2014

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს
მის.: ქ. თბილისი, რაზმაძის ქ. №15

GRASS REFORMANDA
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 251
თარიღი: 22 08 2014 წ.

ბატონო სერგი,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 2014 წლის 11 აგვისტოს #507 წერილი (სარეგისტრაციო №193/25, 15.08.2014), რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რამდენ თანამშრომელს ჩაუტარდა ატესტაცია 2004 წლიდან დღემდე.

პასუხად გაცნობებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში (საქართველოს კონტროლის პალატაში) თანამშრომელთა ატესტაცია ჩატარდა ორჯერ 2005 და 2009 წლებში. იმ თანამშრომელთა რაოდენობის დადგენა, რომელთაც 2005 წელს გაიარეს ატესტაცია, არქივში არსებული ინფორმაციის საფუძველზე ვერ მოხერხდა, ხოლო 2009 წელს ატესტაცია გაიარა 10-მა თანამშრომელმა.

აქვე დამატებით გატყობინებთ, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2013 წლიდან დღემდე რამდენჯერმე ჩატარებული კონკურსის შედეგად, სამსახურში მიღებულ იქნა 187 თანამშრომელი.